



# ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი



15/06/2017

№6

## სარჩევი

საქართველო.....	3
„ასტანა ექსპო 2017“ .....	3
„მესტიაჭალა 1“ და „მესტიაჭალა 2“ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა იწყება ..	4
Inter RAO საქართველოს მთავრობასთან დავის გაგრძელებას სასამართლოში აპირებს.....	6
შპს „დი-ვი-ესი“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმდა .....	7
თბილისში რეგიონული ენერგეტიკული სამიტი გაიხსნა.....	7
მაისში ნავთობპროდუქტების იმპორტი შემცირდა.....	9
რეგიონი .....	10
სტოკჰოლმის საარბიტრაჟო სასამართლომ უკრაინას Gazprom-ზე გამარჯვება მიანიჭა..	10
უკრაინამ გაზი ნორვეგიაში იპოვა .....	12
აზერბაიჯანიდან თურქეთში გაზის ექსპორტის მოცულობა შემცირდა.....	13
აზერბაიჯანის ნავთობის საბადოს გაფართოებას BP ივნისის ბოლოს მოაწერს ხელს.....	14
სომხეთში ქვესადგურებზე „აგარაკ-2“ და „შინუაირი“ 32 მლნ აშშ დოლარამდე ღირებულების სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაიწყო .....	15
მსოფლიო.....	16
ევროკავშირი ბალტიისპირეთის ქვეყნებს რუსულ ენერგოსისტემაზე დამოუკიდებლობის შემცირებაში დაეხმარება .....	16
BP და Rosneft გაზის სექტორში სტრატეგიულ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ .....	17
EBRD ეგვიპტეში მზის ენერჯის 500 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პროექტს განახორციელებს .....	18
ყატარსა და არაბულ სახელმწიფოებს შორის წარმოქმნილმა განხეთქილებამ ნავთობისა და გაზის ბაზრებზე გავლენა იქონია .....	19
ანალიტიკა .....	21
რატომ ელექტრომობილი? .....	21
გამოყენებული ლიტერატურა.....	23

„ასტანა ექსპო 2017“



საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, 2017. EXPO-2017

2017 წლის 10 ივნისიდან 10 სექტემბრამდე საქართველო 115 ქვეყანასა და 22 საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად მონაწილეობას იღებს ყველაზე მასშტაბურ საერთაშორისო გამოფენაში ASTANA EXPO-2017 რომლის სლოგანია - „მომავლის ენერჯია“. გამოფენა მიზნად ისახავს ამაღლოს ადამიანების ცნობიერება ენერჯის გამოყენების კუთხით და ენერჯის გამოყენება გახადოს რაციონალური და ეფექტური.

მონაწილე ქვეყნებს საშუალება ეძლევათ, წარმოაჩინონ ტექნოლოგიური და საინჟინრო მიღწევები, საინვესტიციო პოტენციალი, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები, ქვეყნის კულტურა, სოფლის მეურნეობა და სხვა.

საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველო მონაწილეობას იღებს ამ მასშტაბურ ღონისძიებაში, რაც ქვეყნის პოპულარიზაციის უნიკლური შესაძლებლობაა.

2016 წლის 7 ოქტომბერს შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელიც ორგანიზებას გაუწევს საქართველოს მონაწილეობას ASTANA EXPO-2017-ში. კომისიას ხელმძღვანელობს საქართველოს სექციის კომისარი/ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე, ილია ელოშვილი.

9 ივნისს ვიცე-პრემიერი/ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე და ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილი ASTANA EXPO-2017-ის გახსნის ოფიციალურ ცერემონიალს დაესწრნენ და საქართველოს პავილიონი მონახულს. (საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, 2017)

## „მესტიაჭალა 1“ და „მესტიაჭალა 2“ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა იწყება

ვიცე-პრემიერი/ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორი ლევან შონია, „ბიჯეო ჯგუფის“ გენერალური დირექტორი ირაკლი გილაური და „საქართველოს განახლებადი ენერჯის კომპანიის“ გენერალური დირექტორი არჩილ გაჩეჩილაძე „მესტიაჭალა 1“ და „მესტიაჭალა 2“ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დაწყების ოფიციალურ ცერემონიას დაესწრნენ.

„მესტიაჭალა 1“ და „მესტიაჭალა 2“ ჰიდროელექტროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 50 მგვტ-ი იქნება, ხოლო პროექტის საინვესტიციო ღირებულება 65 მლნ აშშ დოლარია. მშენებლობის პროცესში 50-მდე ადგილობრივი დასაქმდება.

„ჩვენი ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობისკენ მიმართული ძალისხმევა ნელ-ნელა გვაახლოვებს სასურველ მიზანს. თითოეული ასეთი ენერგობიექტი არის ერთი ნაბიჯით წინ წაწევა ჩვენი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და სასურველი მიზნისკენ. თითოეული ენერგობიექტი ჩვენს დღევანდელობაში, ჩვენი პროგრესის გზაზე, არის მნიშვნელოვანი და საჭირო, მეტიც დროული დახმარება ეკონომიკის განვითარებისა და დასაქმების მიმართულებით. რაც შეეხება მესტიის რაიონს, ჩვენი ხელისუფლების დიდი სურვილია და ძალისხმევა, მოხდეს დეცენტრალიზაცია, რეგიონების სრული განვითარება და მოსახლეობის ადგილზე არა მარტო დასაქმება, არამედ დოვლათის შექმნაში ხელშეწყობა. დასვენების, სწავლისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფა შესაბამისი ინფრასტრუქტურით და პირობების შექმნით. ამ კასკადის მშენებლობის ფონზე განვითარდება არა მარტო მიმდებარე ტერიტორია და დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ უზრუნველყოფილი იქნება მეტე უსაფრთხოება, დამონტაჟდება შესაბამისი აპარატურა, მოეწყობა მდინარის ნაპირსამაგრები, ჩატარდება მეწყერის პრევენციის შესაბამისი სამუშაოები. ნებისმიერი ენერგობიექტის მშენებლობა ითვალისწინებს მიმდებარე ტერიტორიის დასახლებების მოწესრიგებას, რეაბილიტაციას და ინფრასტრუქტურის მოწყობას დასვენებისთვის, ტურისტებისა და უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი მოსახლეობისთვის“, - განაცხადა კახა კალაძემ.

„საქართველოს აქვს განახლებადი ენერჯის წარმოების დიდი პოტენციალი, რაც მნიშვნელოვანია, როგორც ენერჯის შიდა მოხმარების უზრუნველყოფისთვის, ისე ქვეყნის ეკონომიკისთვის, რადგანაც შესაძლებელია ამ გზით გამომუშავებული ენერჯის ექსპორტზე გატანა. მესტიაში, ჰესების მშენებლობა შეადგენს საქართველოში „ბიჯეო ჯგუფის“ განახლებადი ენერჯის პლათფორმის ნაწილს. „ბიჯეო ჯგუფის“ გეგმის მიხედვით, ხსენებული პლათფორმა მოიცავს ჯამში 100 მგვტ-ზე მეტი სიმძლავრის მქონე

საშუალო ზომის ჰიდროელექტროსადგურებსა და 20-20 მგვტ სიმძლავრის მქონე ქარისა და მზის ელექტროსადგურებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოში დიდი პოტენციალია ქარისა და მზის ენერჯის კუთხით. საერთო ჯამში, „ბიჯეო ჯგუფი“ შემდეგი 5-დან 7 წლის განმავლობაში, მინიმუმ ნახევარი მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიციების განხორციელებას გეგმავს, სწორედ ენერჯეტიკის სფეროში“, - განაცხადა „ბიჯეო ჯგუფის“ გენერალურმა დირექტორმა, ირაკლი გილაურმა.

ჰესების მშენებლობას სს „სვანეთი ჰიდრო“ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, გარემოზე მინიმალური ზემოქმედების გათვალისწინებით განახორციელებს. მშენებლობა განხორციელდება დარგში არსებული თანამედროვე ტექნიკური მიღწევების სრული გამოყენებით, კაშხლის მოწყობისა და მდინარის დაგუბების გარეშე, სადაწნეო მილსადენის პრინციპით, რაც გამორიცხავს პროექტის მნიშვნელოვან ზეგავლენას გარემო პირობებზე.

ჰესების ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ ენერჯოსისტემას 175 მლნ კვტ.სთ შეემატება.

„მესტიაჭალა 1“ და „მესტიაჭალა 2“ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში შესვლა 2018 წლის დეკემბერშია დაგეგმილი.

სს „სვანეთი ჰიდროსა“ და მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, სს „სვანეთი ჰიდრო“ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, თავისი ინიციატივით განახორციელებს დაბა მესტიაში ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და ფოლკლორის თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსებას, რისთვისაც გამოიყოფა, დაახლოებით, 600 000 ლარი.

ამასთან, პროექტის განხორციელების შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზრდება მესტიის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო შემოსავლები, რაც წინასწარი გათვლებით, პროექტის გაშვებიდან პირველივე წელს თანხობრივად შეადგენს, დაახლოებით, 1 500 000 ლარს (ქონების გადასახადი და მიწით სარგებლობის გადასახადი).

აღნიშნულ პროექტს ახორციელებს სს „სვანეთი ჰიდრო“, რომლის დამფუძნებლებიც არიან სს „საქართველოს განახლებადი ენერჯის კომპანია“ (65%) და ენერჯეტიკულ სექტორში 30 წლიანი გამოცდილების მქონე ავსტრიული კომპანია RP Global Investment (35%).

„საქართველოს განახლებადი ენერჯის კომპანია“, თავის მხრივ, წარმოადგენს საინვესტიციო ჯგუფი „ბიჯეოს“ შვილობილ კომპანიას. *(საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო, 2017)*

## Inter RAO საქართველოს მთავრობასთან დავის გაგრძელებას სასამართლოში აპირებს

Inter Rao საქართველოს მთავრობასთან ტარიფებზე დავას სასამართლოში გააგრძელებს. რუსულმა მხარემ საქართველოს წინააღმდეგ ორი სარჩელი შეიტანა. ამასთან, გამოცემა წერს, რომ სადაო თანხა, შესაძლოა 125 მლნ აშშ დოლარზე მეტი იყოს.

Inter Rao-ს სტრუქტურები - ნიდერლანდებში რეგისტრირებული Silk Road Holdings B.V. და Gardabani Holdings B.V „თელასის“ 75%-სა და „ხრამი 1“-სა და „ხრამი 2“-ის 100%-ს ფლობენ და ქართულ მხარეს ლარის გაუფასურებით მიღებული დანაკლისის კომპენსირებას სთხოვენ. ამასთან, Inter Rao-ში მიიჩნევენ, რომ მარეგულირებელი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ტარიფების კორექტირებასთან დაკავშირებით სწორი არ იყო, რამაც მათ მილიონობით აშშ დოლარის ზარალი მიაყენა.



*Business Media Georgia, 2017. Inter RAO საქართველოს მთავრობასთან დავის გაგრძელებას სასამართლოში აპირებს*

„Inter Rao-მ არ განახორციელა ინვესტიცია „თელასში“ და გასულ წელს იმაზე მეტი დივიდენდი მიიღო, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ასე რომ რატომ უნდა გადავიხადოთ კომპენსაცია?! ჩვენ ძლიერი პოზიცია გვაქვს და მას დავიცავთ სასამართლოში“, - ამბობს მარიამ ვალიშვილი.

Inter Rao-ს ხელმძღვანელი ბორის კოვალჩუკი კი ამბობს, რომ კომპანია ან იმ ტარიფებს მიიღებს, რომელზეც საქართველოს მთავრობასთან შეთანხმება ჰქონდათ, ან დავა სასამართლოში დასრულდება.

ქართული მხარე Inter Rao-ს საკითხზე საარბიტრაჟო სასამართლოში არგუმენტების წარსადგენად მზადაა. მარიამ ვალიშვილი „საქმის კურსთან“ საუბრისას

ამბობს, რომ Inter Rao-ს შვილობილი კომპანიების მოთხოვნა ქართული მხარისთვის მიუღებელია.

„სამწუხაროდ, რუსულმა მხარემ მაინც გადაწყვიტა, საარბიტრაჟო სასამართლოსთვის მიემართა. სასარჩელო განაცხადი მივიღეთ, რომელიც ჯერ არ გვინახავს, რადგან დღეს ჩაგვბარდა. არგუმენტების დეტალურად გაცნობის შემდეგ გვეცოდინება რა კუთხით წავალთ. დავა შეეხება პრეტენზიებს როგორც „თელასის“ ნაწილში, ასევე ხრამის სადგურების ნაწილში, - ისინი ითხოვენ კომპენსაციას. ჩვენ ვთვლით, რომ არსებული მეთოდოლოგიის ფარგლებში, აბსლუტურად სამართლიანი ტარიფი აქვს თელასს. ბუნებრივია, გვაქვს არგუმენტები.

რუსული მხარის გარკვეულ პოზიციებს არ ვიზიარებთ, ვეცდებით ქართული მხარის პოზიცია დავიცვათ. არის საკითხები, რაზეც პრინციპულად ვერ ვთანხმდებით, ტარიფები არის სამართლიანი და არანაირ დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია“, - ამბობს ვალიშვილი. მისივე თქმით, საარბიტრაჟო დავისთვის მოსამზადებელი პროცესი ხანგრძლივია. (*Business Media Georgia, 2017*)

## შპს „დი-ვი-ესი“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმდა

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 12 ივნისის საჯარო სხდომაზე შპს „დი-ვი-ესი“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 5 000 ლარით დააჯარიმა. დაჯარიმების საფუძველი გახდა კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის N30 დადგენილების დარღვევა. კერძოდ, შპს „დი-ვი-ესი“ საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს ბუნებრივ გაზს აწვდიდა კომისიის მიერ დადგენილ ტარიფზე მაღალი ტარიფით.

კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, მომხმარებლების მიერ შპს „დი-ვი-ესი“-სათვის ზედმეტად გადახდილი თანხა ჩაითვლება წინასწარ გადახდილად, რაც აისახება მათ პირად ბარათებზე. (*სემეკი, 2017*)

## თბილისში რეგიონული ენერგეტიკული სამიტი გაიხსნა

ვიცე-პრემიერმა/ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ 25 მაისს რეგიონული ენერგეტიკული სამიტი გახსნა. სამიტი ეძღვნებოდა ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეფორმებს და გაიმართა ენერგეტიკის სამინისტროს, USAID-ის პროექტის „მმართველობა განვითარებისათვის“ G4G -ისა და ევროკავშირის EU4ENERGY-ის მხარდაჭერით.

სამიტში ასევე მონაწილეობდნენ: საქართველოში აშშ-ს ელჩი იან კელი, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობასთან თანამშრომლობის ხელმძღვანელი ვინსენტ რეი, თურქეთის ბუნებრივი რესურსებისა და ენერგეტიკის მინისტრის თანამემწე

ფათიკ დონმეზი, თურქეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ზეკი ლევენტ გუმრუქუ და სომხეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე აიაკ არუთინიანი, ასევე საქართველოს მთავრობის, კერძო და სახელმწიფო ენერგეტიკული კომპანიების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლები.



საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, 2017. თბილისში რეგიონული ენერგეტიკული სამიტი გაიხსნა

სამიტზე განიხილეს შემდეგი საკითხები:

- საქართველოს მიერ ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულების შესაბამისად გატარებული რეფორმები და მათი ზემოქმედება ელექტროენერგიით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობაზე;
- ელექტროენერჯის მიწოდების უსაფრთხოებისა და ვაჭრობის ხელშეწყობისათვის საჭირო რეგიონალური ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა;
- ინფრასტრუქტურული პრიორიტეტების განსაზღვრა და დაფინანსება.

„EU4ENERGY წარმოადგენს ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭრის ოთხწლიან პროგრამას, რომელიც დაიწყო 2016 წლის ივნისში. EU4ENERGY-ის მესამე კომპონენტი, „საკანონმდებლო და სარეგულაციო გარემო და საკვანძო ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა“, ფინანსდება ევროკავშირის მიერ, ხოლო თანადაფინანსებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი არიან „ენერგეტიკული გაერთიანების“ და „ენერგეტიკული ქარტიის“ სამდივნოები. მისი მიზანია ენერგეტიკულ სექტორში საკანონმდებლო და სარეგულაციო გარემოს გაუმჯობესება და საკვანძო ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის პროექტების განსაზღვრა. ინიციატივა მოიცავს ექვს ქვეყანას: მოლდოვას, უკრაინას, სომხეთს, საქართველოს, აზერბაიჯანსა და ბელარუსიას.



G4G - „მმართველობა განვითარებისათვის“ USAID-ის ხუთწლიანი, 19.3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მთავრობის დახმარებას ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს გასაუმჯობესებლად საკანონმდებლო და მარეგულირებელი რეფორმების სამართლიანად და გამჭვირვალედ დაგეგმვისა და განხორციელების მხარდასაჭერად. *(საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო, 2017)*

## მაისში ნავთობპროდუქტების იმპორტი შემცირდა

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის განცხადებით, მაისში საქართველოში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტმა შეადგინა 85.6 ათასი ტონა, რაც 10.4 ათასი ტონით ანუ 12.1%-ით ნაკლებია აპრილის თვის მაჩვენებელთან შედარებით.

სულ მიმდინარე წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტმა შეადგინა 371.7 ათასი ტონა, რაც 42.7 ათასი ტონით, ანუ 11.5%-ით ნაკლებია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

მათ შორის, 2017 წლის მაისში ბენზინის საწვავის იმპორტმა შეადგინა 45.2 ათასი ტონა, ხოლო დიზელის საწვავის იმპორტმა - 40.4 ათასი ტონა.

ქვეყნების მიხედვით, 2017 წლის მაისში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტის ყველაზე დიდი მოცულობა განხორციელდა რუმინეთიდან - 30.5 ათასი ტონა (მთელი იმპორტის 35.6%), თურქმენეთიდან - 19.5 ათასი ტონა (22.8%), ბულგარეთიდან - 13.8 ათასი ტონა (16.1%), რუსეთიდან - 12.9 ათასი ტონა (15.1%), საბერძნეთიდან - 5.2 ათასი ტონა (6.1%), აზერბაიჯანიდან 3.1 ათასი ტონა (3.6%), უკრაინიდან - 0.6 ათასი ტონა (0.7%) და სხვა.

„მიუხედავად იმისა, რომ ნავთობპროდუქტების იმპორტი მიმდინარე წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შემცირებულია, მაინც უნდა ჩაითვალოს, რომ იმპორტი კვლავინდებურად მაღალ მაჩვენებელზეა იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე წლიდან გაიზარდა აქციზის გადასახადი ნავთობპროდუქტებზე. ეს განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით (ინფრასტრუქტურული პროექტების, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ზრდა, სატრანსპორტო გადაზიდვები). ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია საქართველოს სატრანსპორტო პარკის მნიშვნელოვანი ზრდა. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2012 წელს საქართველოში ავტოტრანსპორტის ოდენობამ შეადგინა 831.6 ათასი ერთეული; 2013 წ - 906.7 ათასი ერთეული (+9%); 2014 წ - 999.1 ათასი ერთეული (+ 10.2%); 2015 წ - 1.08 მლნ ერთეული (+8.2%); 2016 წ - 1.17 მლნ ერთეული (+7.9%)“, - განმარტავენ ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირში. *(Business Media Georgia, 2017)*

მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე მნიშვნელოვანი ენერგეტიკული მოვლენები.

## სტოკჰოლმის საარბიტრაჟო სასამართლომ უკრაინას Gazprom-ზე გამარჯვება მიანიჭა



*Publika.md, 2017. Ukraine scores major win over Gazprom in arbitration tribunal*

სტოკჰოლმის საარბიტრაჟო სასამართლომ 31 მაისს ორი ქვეყნის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ ენერგეტიკულ კონგლომერატებს შორის არსებული სამწლიანი დავის პირველი გადაწყვეტილებები გამოაქვეყნა, რამაც უკრაინას დიდი გამარჯვება მოუტანა, ხოლო რუსულ Gazprom-ს სერიოზული დარტყმა მიაყენა. ურთიერთ პრეტენზიების ფსონები საკმაოდ მაღალია და მომავალში ხარჯები, დაახლოებით, 80-100 მლრდ აშშ დოლარის დიაპაზონშია.

როგორც უკრაინის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლომ უარყო Gazprom-ის სადაო „TAKE OR PAY“ („მიიღე ან გადაიხადე“) პრეტენზია, რომელიც უკრაინის მხრიდან 34.5 მლრდ აშშ დოლარის გადახდას ითვალისწინებდა იმ გაზისთვის, რომელიც არ მიუღია, მაგრამ გათვალისწინებული იყო კონტრაქტით.

უარყოფითი შედეგი, რომელიც რუსეთის Gazprom-თვის რამდენიმე მილიარდი აშშ დოლარის გადასახადს ითვალისწინებდა, Naftogaz-ის გადახდისუნარიანობას ემუქრებოდა.

„Gazprom სწავლობს სასამართლოს პასუხს“, - განაცხადა წარმომადგენელმა.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მოიცავდა 2009 წლის გაზის მიწოდების შესახებ წინააღმდეგობრივი და სადაო ხელშეკრულების სამართლებრივ და ფაქტობრივ

საკითხებს. უკრაინამ მას ხელი ზეწოლის შედეგად მოაწერა, მას შემდეგ, რაც Gazprom-მა შეწყვიტა როგორც შიდა, ისე ევროპული ნაკადების მიწოდება ფასებთან დაკავშირებული დავების გამო. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ფულადი ანაზღაურების შესახებ, სავარაუდოდ, ამ თვის ბოლოს გამოვა, თუ მხარეები კომპრომის ვერ მიაღწევენ. შემდეგი გაზის ტრანზიტის საქმესთან დაკავშირებული გადაწყვეტილება იქნება.

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება Gazprom-ის წინააღმდეგ იქნება, ზედმეტი დანაკარგები შექმნის პრეცედენტს, რომელიც სერიოზულ ზიანს მიაყენებს საკვანძო ბაზრებზე მოლაპარაკებების ძლიერ მხარეს.

კიევმა ექვევემ დააყენა „TAKE OR PAY“ პუნქტის სამართლიანობა, რაც იმ გაზის გადაჭარბებული მოცულობებისა და მასთან დაკავშირებული ჯარიმების გადახდას გულისხმობს, რომლის იმპორტიც არ განხორციელებულა. Naftogaz ასევე აცხადებს, რომ Gazprom სატრანზიტო ნაკადისთვის შემცირებულ თანხას იხდის და მას შემდეგ, რაც უკრაინამ ევროკავშირის ბაზრის წესები მიიღო, საჭიროა კონტრაქტთან დაკავშირებით ახალი მოლაპარაკებები.

Gazprom ამტკიცებდა, რომ ხელშეკრულება და მისი პუნქტები სავალდებულო იყო.

გადაწყვეტილება Naftogaz-თვის, რომლის ხელმძღვანელობამ ბოლო წლების განმავლობაში უკრაინის დასავლელი მხარდამჭერების ჯილდო მოიპოვა, მნიშვნელოვანი გამარჯვებაა. მათ მიერ გატარებულმა რეფორმებმა შეამცირა კორუფცია და გაზის უყაირათო მოხმარება, ასევე მოახდინა ძვირადღირებული რუსული იმპორტის დივერსიფიცირება. გასულ წელს Naftogaz-მა 1 მლრდ აშშ დოლარის მოგება მიიღო.

Gazprom-ის მიერ მაღალი ჯილდოს მიღების პერსპექტივა შესაძლოა, Naftogaz-ის ბანკროტად გამოცხადების მიზეზი ყოფილიყო, ჩამოაშორებდა რა მას ამჟამინდელ შიდა დომინანტი მიმწოდებლის როლს. თუმცა, ოფიციალური პირები აცხადებდნენ, რომ არბიტრაჟის უარყოფითი დასკვნა არ იმოქმედებდა სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ უკრაინის უზარმაზარ სატრანზიტო გაზსადენზე. მიუხედავად იმისა, რომ მას Naftogaz მართავს, მილსადენი კორპორატიულ აქტივს არ წარმოადგენს.

ევროკავშირის ბაზრის წესებთან დაკავშირებული მიმდინარე პროცესების შედეგად, მილსადენი Naftogaz-ის ჯგუფის კომპანიებს უნდა გამოეყოს. წესები ითვალისწინებს გაზის წარმოების, მიწოდებისა და სატრანზიტო ოპერაციების გამიჯვნას.

თუმცა, რუსეთის გეგმები, „ჩრდილოეთის ნაკადის“ გაფართოებისა და უკრაინის გვერდის ავლით სხვა მილსადენების პროექტების განხორციელების კუთხით, მომავალში უკრაინის მილსადენით გაზის სატრანზიტო მოცულობების კიდევ უფრო შემცირების საფრთხეს უქმნის. (*Olearchyk R., 2017*)

## უკრაინამ გაზი ნორვეგიაში იპოვა

უკრაინა 2022 წლიდან ბუნებრივი გაზის ნორვეგიისგან შესყიდვას აპირებს. ამის შესახებ თავის „ფეისბუქ“ გვერდზე უკრაინის ენერჯეტიკისა და ქვანახშირის წარმოების მინისტრის მრჩეველმა მაქსიმ ბელიავსკიმ დაწერა.

„პროექტს პოლონეთთან სამ სიბრტყეში განვიხილავთ: წვდომა სამამულო საცავების მოცულობებზე (ჩვენ გაზის შესანახი მოცულობების 50%-იანი პროფიციტი გვაქვს), უკრაინული გაზის ექსპორტის შესაძლო დერეფანი (საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ) და სატრანზიტო დერეფანი „ჩრდილოეთი-სამხრეთი“, - განაცხადა ბელიავსკიმ ჟურნალისტთან საუბრისას.

2015 წლის ბოლოდან უკრაინა რუსულ გაზს, რომელიც მოთხოვნის ნახევარზე მეტს აკმაყოფილებდა, აღარ ყიდულობს. ამჟამად Naftogaz გაზს ევროპიდან რევერსით ყიდულობს.

Gazprom-მა არაერთხელ გამოთქვა შეშფოთება შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით: რუსული კომპანიის აზრით, ამგვარი სქემის დროს, შესაძლოა, საფრთხე შეექმნას ტრანზიტს. კიევმა, თავის მხრივ, არაერთხელ განაცხადა, უკრაინის, როგორც ტრანზიტორის, საიმედოობის შესახებ და სატრანზიტო შეთანხმებები არ დაურღვევია.

რაც შეეხება გაზის შესყიდვასა და მომხმარებლების უზრუნველყოფას, კიევი პერიოდულად აცხადებს სხვადასხვა შესაძლებლობების შესახებ: აშშ-საგან შეჭირხლული გაზის შესყიდვიდან მოხმარების შემცირებამდე.

ნორვეგია ევროპაში გაზის უდიდესი მწარმოებელია. თუმცა, ქვეყნის გაზის მარაგები უკვე არაერთი წელია მცირდება და პროგნოზების მიხედვით, ტენდენციის დაძლევა ვეღარ მოხერხდება. თუმცა, ენერჯეტიკის სფეროში უკრაინელი ექსპერტის, Naftogaz-ის ყოფილი პრეს-მდივნის ვალენტინ ზემლიანსკის თქმით, სხვა ძირითადი პრობლემებიც არსებობს.

„პირველ რიგში, ეს საკმაოდ გრძელვადიანი გეგმებია, რომელთა რეალიზება მოცემულ ეკონომიკურ პირობებში საკმაოდ გაურკვეველია, - აღნიშნავს ზემლიანსკი - უკრაინას არ გააჩნია ეკონომიკური განვითარების მკაფიო სტრატეგია, შესაბამისად არ არსებობს გაზის საჭირო მოცულობების განსაზღვრის საშუალება“.

ექსპერტის თქმით, დღეისათვის მრეწველობის მიერ გაზის მოხმარება მცირდება, გაზის მაღალი ტარიფები აიძულებს მოსახლეობას, უარი თქვას გაზის გათბობაზე და მინიმუმამდე დაიყვანოს მისი მოხმარება. ანუ, უახლოეს წლებში უკრაინაში გაზის მოხმარების ზრდასა და შესაბამისად, მის იმპორტს არ უნდა ველოდოთ.

ექსპერტი სამინისტროს განცხადებას პოლიტიკურს უწოდებს და მისი აზრით, კითხვებს ბადებს პროექტის ეკონომიკური მიზანშეწონილობაც: დაწყებული პოლონეთში

ინტერკონექტორის მშენებლობიდან და დამთავრებული ნორვეგიული გაზის ღირებულებით, რომელიც ევროკავშირში ყველაზე ძვირადღირებულად ითვლება.

9 ივნისს უკრაინის პრემიერმინისტრმა ვლადიმერ გროისმანმა განაცხადა, რომ კიევი ყველა ძალისხმევას ხმარობს, რათა არ დაუშვას მილსადენის მშენებლობა, რომელიც საფრთხეს უქმნის არა მარტო უკრაინის, არამედ სხვა ქვეყნების ეროვნულ უსაფრთხოებასაც. საუბარია გაზსადენზე „ჩრდილოეთის ნაკადი-2“ (55 მლრდ მ<sup>3</sup> სიმძლავრით), რომელიც ბალტიის ზღვის ფსკერით უკვე არსებული პირველი „ჩრდილოეთის ნაკადის“ პარალელურად გერმანიის სანაპირომდე უნდა გავიდეს.

„მინდა დაგარწმუნოთ, რომ უკრაინა ყველა პოლიტიკურ და იურიდიულ ზომას მიმართავს ეროვნული ინტერესების დასაცავად, მათ შორის ჩვენი ძალისხმევის საერთაშორისო პარტნიორებთან კოორდინირებას, რათა არ დაუშვას ამ პოლიტიკური პროექტის მშენებლობა“, - განაცხადა გროისმანმა უზენაეს რადაში „მთავრობასთან შეკითხვების საათის“ დროს. (Топалов А., 2017)

### აზერბაიჯანიდან თურქეთში გაზის ექსპორტის მოცულობა შემცირდა

2017 წლის იანვარ-მარტის პერიოდში აზერბაიჯანმა თურქეთს თითქმის 1.6 მლრდ მ<sup>3</sup> გაზი მიაწოდა. გასული წლის იმავე პერიოდისათვის ეს მოცულობა 1.71 მლრდ მ<sup>3</sup>-ს შეადგენდა, ნათქვამია თურქეთის ენერჯო ბაზრის მარეგულირებელი ორგანოს (EPDK) ვებ-გვერდზე.

2016 წელს აზერბაიჯანმა თურქეთს 6.48 მლრდ მ<sup>3</sup> ბუნებრივი აირი მიაწოდა, 2015 წლის 6.17 მლრდ მ<sup>3</sup>-ის საპირწონედ.

ანგარიშის თანახმად, თურქეთმა 2017 წლის იანვარ-მარტში 16.2 მლრდ მ<sup>3</sup> გაზის იმპორტი განახორციელა, აქედან 11.95 მლრდ მ<sup>3</sup> იმპორტი მილსადენების, ხოლო 4.25 მლრდ მ<sup>3</sup> - LNG-ის სახით განხორციელდა.

2017 წლის იანვარ-მარტში თურქეთის მიერ იმპორტირებული გაზის საერთო მოცულობაში აზერბაიჯანის წილი 9.86% იყო.

თურქეთი იმპორტს აზერბაიჯანიდან სამხრეთ კავკასიის მილსადენით (ბაქო-თბილისი-ერზრუმი) ახორციელებს.

თურქეთს გაფორმებული აქვს კონტრაქტი აზერბაიჯანიდან ოფშორული შაჰ-დენიზის გაზისა და კონდენსატის საბადოდან წლიური 6.6 მლრდ მ<sup>3</sup> გაზის შექმნაზე. (News.Az, 2017)

## აზერბაიჯანის ნავთობის საბადოს გაფართოებას BP ივნისის ბოლოს მოაწერს ხელს



*Reuters, 2017. BP to sign Azerbaijan oilfield extension deal at end of June*

როგორც კომპანიის რეგიონალურმა დირექტორმა განაცხადა, BP გეგმავს, ივნისის ბოლოს ხელი მოაწეროს კონტრაქტს აზერბაიჯანის უმსხვილესი ნავთობსაბადოს წილობრივი განაწილების გარიგების ვადის 2050 წლამდე გაზრდის შესახებ.

არსებულ გარიგებას ვადა 2024 წელს ეწურება. კონსორციუმმა, რომელსაც BP მეთაურობს, აზერბაიჯანულ ნავთობის სახელმწიფო კომპანია Socar-თან ერთად დეკემბერში ხელი მოაწერა წერილს განზრახულობათა შესახებ „აზერი-ჩირაგი-გიუნეშლის“ ზღვის უზარმაზარი საბადოების ათვისების ვადის 2050 წლამდე გაზრდის შესახებ.

„ამისათვის ივნისის ბოლო ძალიან გონივრული ვადაა“, - განაცხადა გარი ჯონსმა, BP-ს რეგიონალურმა ხელმძღვანელმა აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთში - ეს დიდი გარიგებაა, ჩვენ გვინდა ეს უფლება“.

კონსორციუმის აქციონერები არიან: BP, Socar, Chevron, INPEX, Statoil, ExxonMobil, TPAO, ITOCHU, TPAO, ITOCHU და ONGC Videsh.

როგორც აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ოთხშაბათს განაცხადა, იგი ფიქრობს, რომ ხელშეკრულება მალე გაფორმდება.

ჩვენ ვფიქრობთ „აზერი-ჩირაგი-გიუნეშლის“ ბლოკის განვითარებაზე და ჩემი აზრით, მივაღწევთ საბოლოო შეთანხმებას ინვესტორებთან“, - განაცხადა ალიევმა ბაქოში კასპიის ნავთობისა და გაზის ყოველწლიურ კონფერენციაზე.

BP მიმდინარე ათწლეულის დასაწყისში ალიევის რისხვის მიზეზი გახდა, როდესაც ქვეყნის ლიდერმა ნავთობის კომპანია დაპირებულზე დაბალი წარმოების გამო გააკრიტიკა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ნავთობის მოპოვებამ „აზერი-ჩირაგი-გიუნეშლიზე“ 7.1 მლნ ტონაზე მეტი შეადგინა. *(Reuters, 2017)*

## სომხეთში ქვესადგურებზე „აგარაკ-2“ და „შინუაირი“ 32 მლნ აშშ დოლარამდე ღირებულების სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაიწყო

როგორც სომხეთის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პრეს-სამსახური იუწყება, ენერგოსისტემის მოდერნიზების ფარგლებში სომხეთში სტარტი აიღო ქვესადგურების „აგარაკ-2-სა“ და „შინუაირის“ რეკონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოებმა.

ქვეყნის ენერგეტიკული სისტემისათვის მნიშვნელოვანი ამ ორი ქვესადგურის მოდერნიზების სამუშაოები აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ხორციელდება. პროგრამის ჯამური ღირებულება 31.9 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. სამშენებლო სამუშაოებს ერთობლივი საწარმო - ჩინური Liaoning-EFACEC Electrical Equipment Co. LTD და Northeast China International Electric Power Corporation ახორციელებს.

გასულ წლებში 220 კილოვოლტიანი ქვესადგური „შინუაირი“ ნაწილობრივ იქნა აღდგენილი მსოფლიო ბანკის დახმარებით: შეიცვალა პირველადი ძაბვის 220 კვ-იანი მოწყობილობები. თუმცა, მეორადი ჯაჭვები, სარელეო დაცვა და ავტომატიკა მოძველებული იყო, ვერ აკმაყოფილებდა ელექტროენერჯის საიმედო და უსაფრთხო გადაცემის მოთხოვნებს და საჭიროებდა რემონტს. ქვესადგური 1961 წელს აშენდა.

ქვესადგურ „აგარაკი-2-ში“, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული ირანის ქსელთან, იგეგმება 220/110 კვ ახალი ტრანსფორმატორის მონტაჟი. ამგვარად, მოცემულ მონაკვეთზე ენერგოსისტემა უზრუნველყოფს კავშირს 220 კვ და 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს შორის, ასევე, აბონენტებს რომლებიც ელექტროენერჯის ქვესადგურ „აგარაკი-1-დან“ იღებენ, ექნებათ სარეზერვო კვება.

„შინუაირისა“ და „აგარაკ-2“-ის ქვესადგურების მოდერნიზაცია-რეკონსტრუქცია ხელს შეუწყობს ენერგოსაფრთხოებისა და ელექტროენერჯის მიწოდების საიმედოობის ამაღლებას, ასევე, მინიმუმამდე დაიყვანს დანაკარგებს ქსელში. სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულება 2019 წლისათვის იგეგმება. *(Arka News Agency, 2017)*

მსოფლიოში მიმდინარე ძირეული ენერგეტიკული ცვლილებების შესახებ, ან მომხდარი მოვლენების შესახებ ინფორმაცია და მისი ანალიზი, სხვადასხვა ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის ანალიზი.

### ევროკავშირი ბალტიისპირეთის ქვეყნებს რუსულ ენერგოსისტემაზე დამოკიდებულების შემცირებაში დაეხმარება



*Euractiv, 2017. EU to work with Baltic states on decoupling from Russian power grid*

ევროკომისიის განცხადებით, ევროკომისია და ბალტიისპირეთის 3 ქვეყანა ენერგეტიკის კუთხით ითანამშრომლებენ, რაც ამ ქვეყნების ენერგოსისტემის ევროკავშირთან პოლონეთის გავლით დაკავშირებასა და მათი რუსეთზე ენერგო დამოკიდებულების შემცირებას მოიაზრებს.

ლიტვას, ლატვიასა და ესტონეთს რუსულ ენერგიაზე დამოკიდებულების შემცირება რუსეთისა და ბელარუსის ინტეგრირებული ენერგოსისტემისგან გამოყოფის გზით სურთ. „ჩვენ ბევრი ვიმუშავეთ ამ პოლიტიკურ შეთანხმებაზე, რომელიც ბალტიისპირა ქვეყნების ენერგოსისტემის კონტინენტურ ქსელთან სინქრონიზაციას გულისხმობს“, - კლიმატისა და ენერგეტიკის კომისიონერმა მიგელ კანეტემ „როიტერთან“ საუბრისას განაცხადა.

ევროკომისია და ბალტიისპირეთის ქვეყნები ურთიერთგაგების მემორანდუმის მომზადების საბოლოო ეტაპზე არიან, რომელსაც ხელი, შესაძლოა, ივნისის ბოლოს მოეწეროს.



„ამ მემორანდუმის სახით გაფორმდება შეთანხმება ბალტიისპირეთის ქვეყნების სრული ენერგოდამოუკიდებლობის უზრუნველყოფის შესახებ, რაც 2025 წლისთვის მათი ენერგოსისტემების ევროკავშირის ენერგოსისტემასთან სინქრონიზაციის მეშვეობით მოხდება“, - აღნიშნა კანქემ.

სინქრონიზაცია მოითხოვს ახალ ინტერკონექტორს პოლონეთსა და კონტინენტურ ევროპას შორის, რომლის ღირებულებაც, დაახლოებით, 190 მლნ ევრო იქნება.

ერთ-ერთი ვერსიად ასევე განიხილებოდა ენერგოსისტემის სკანდინავიის ქვეყნებით დაკავშირება, ან ბალტიისპირა ქვეყნების ცალკე მდგომ სისტემად ოპერირება.

ბალტიისპირეთის ქვეყნებს დიდი ხანია სურთ რუსულ ენერგიაზე დამოკიდებულების შემცირება, რაც მათივე თქმით, ნაწილობრივ რუსულ ენერგეტიკაში გამჭირვალობის ნაკლებობითაა გამოწვეული.

ესტონეთისა და ფინეთის, ლიტვისა და პოლონეთის, ასევე შვედეთისა და ლიტვის დამაკავშირებელმა მოქმედმა სისტემებმა ბალტიისპირეთის კავშირი ევროკავშირის ელექტროენერჯის ბაზართან 22%-მდე გაზარდა. (*Euractiv, 2017*)

## **BP და Rosneft გაზის სექტორში სტრატეგიულ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ**

BP-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, 2 ივნისს BP-მ და Rosneft-მა პეტერბურგის საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებასა და ევროპაში ბუნებრივი გაზით ვაჭრობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

ორი კომპანია გაზის სექტორში ინტეგრირებული თანამშრომლობის განვითარებაზე შეთანხმდა, რომელიც გაზის მოპოვების, მიწოდებისა და მარკეტინგის კუთხით ერთობლივი პროექტების განხორციელებას ისახავს მიზნად.

BP-მ და Rosneft-მა კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავიანთი ინტერესი ევროპული გაზის ბაზართან თანამშრომლობასთან დაკავშირებით. მემორანდუმის თანახმად, Rosneft და BP-ის მფლობელობაში არსებული BP Gas Marketing Limited ბუნებრივი გაზით ვაჭრობის გრძელვადიან ვალდებულებას აიღებენ. ეს მემორანდუმი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ორ კომპანიას შორის სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით.

„Rosneft უკვე არის რუსეთის ყველაზე დიდი და დამოუკიდებელი გაზის მომპოვებელი კომპანია, რომელიც მოპოვების ზრდას მომავალ წლებშიც გეგმავს. BP-თან თანამშრომლობა ჩვენთვის უზრუნველყოფს როგორც გაზის მონეტიზაციის ახალ გზას,

ასევე ახალი რესურსების განვითარებისთვის აუცილებელ პირობებს“, - განაცხადა Rosneft-ის აღმასრულებელმა დირექტორმა იგორ სეჩინმა.

„BP მოხარულია ამ შეთანხმებითა და Rosneft-თან თანამშრომლობის გაღრმავებით. ბუნებრივ გაზზე გადასვლა BP-ის სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. იგი მნიშვნელოვანია უფრო სუფთა ენერჯიაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების მხრივ. ბუნებრივი გაზის წილი BP-ის პორტფელში სულ უფრო იზრდება და ვიმედოვნებთ, რომ მომდევნო ათწლეულისთვის ჩვენს წარმოებაში ბუნებრივი გაზის წილი ახლანდელი 50%-დან 60%-მდე გაიზრდება“, - აღნიშნა BP Russia-ს პრეზიდენტმა დევიდ ქემპელმა. (BP, 2017)

## EBRD ეგვიპტეში 500 მლნ აშშ დოლარის ღირებულების მზის ენერჯის პროექტს განახორციელებს



*Energy Egypt, 2017. EBRD approves \$500 million for private renewable projects in Egypt*

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) 500 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პაკეტის დამტკიცების შესახებ განცხადება გააკეთა.

ფინანსები ეგვიპტეში მზის პანელების 13 ფართომასშტაბიანი პროექტის განხორციელებას მოხმარდება, რომელიც წარმოადგენს მზის 16 პროექტისგან შემდგარი პორტფელის ნაწილს, მთლიანი დადგმული სიმძლავრით 750 მგვტ. მზის პანელები განთავსდება ბენზანში, ასვანას რეგიონში - ჩრდილოეთ ეგვიპტეში.

„ჩვენ ეგვიპტის მთავრობასთან 2014 წლიდან ვმუშაობთ და ვეხმარებით მათ მიზნების მიღწევაში. მოხარულები ვართ, რომ ვაფინანსებთ ამ პროექტებს, რომელთა დაწყებაც 2017 წლის ბოლოსთვის იგეგმება“, - აღნიშნა EBRD-ის ენერჯეტიკის სექტორის ხელმძღვანელმა ჰარი ბოიდ-კარპენტერმა.

EBRD-მა აღნიშნული გეგმის თაობაზე 2015 წელს განაცხადა და იმედი გამოთქვა, რომ თავდაპირველი ტრანში წახალისებს დამატებით ინვესტიციებს და მომავალში კაპიტალს 1.5 მლრდ აშშ დოლარამდე გაზრდის.

პროექტი მიზნად ისახავს 2 გვტ ენერჯის მიღებას 40 ინდივიდუალური მზის პარკის მეშვეობით, თითოეული 50 მგვტ სიმძლავრით. აღსანიშნავია, რომ ეგვიპტეს 2020 წლისთვის მთლიანი ენერჯის 20%-ის განახლებადი რესურსებიდან მიღება სურს. (*Bellini, 2017*)

ასვანას რეგიონის მოსახლეობის 50%-ზე მეტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა. EBRD-ის მზის პროექტი რეგიონის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი ბიძგი იქნება, რომელიც შექმნის გრძელვადიან სამუშაო ადგილებს და რეგიონს შეძენს სასარგებლო გამოცდილებას.

EBRD-მა ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ რეგიონებში ინვესტირება 2012 წელს დაიწყო და იორდანიაში და მაროკოში ქარისა და მზის 700 მლნ ევროს ღირებულების პროექტები დააფინანსა.

2007-2016 წლებში EBRD-მა 3.5 მლრდ ევროზე მეტი ღირებულების ინვესტიცია განახორციელა უშუალოდ განახლებად ენერჯიაში, რომელიც 23 ქვეყნის 104 პროექტს მოიცავს. (*Energy Egypt, 2017*)

## ყატარსა და არაბულ სახელმწიფოებს შორის წარმოქმნილმა განხეთქილებამ ნავთობისა და გაზის ბაზრებზე გავლენა იქონია

საუდის არაბეთმა და მისმა მთავარმა მოკავშირეებმა ყატართან, გათხევადებული გაზის მსოფლიოს უდიდეს მიმწოდებელთან, კავშირები გაწყვიტეს მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი ექსტრემიზმის მხარდაჭერაში ამხილეს.

საუდის არაბეთმა, არაბეთის გაერთიანებულმა საემიროებმა, ეგვიპტემ და ბაჰრეინმა განაცხადეს, რომ ყატართან ყოველგვარ კავშირს წყვეტენ, მაშ შორის ნავთობისა და გათხევადებული გაზის ტრანსპორტირების კუთხით.

განხეთქილებას დაუყოვნებლივ არ მოუხდენია გავლენა ტანკერების გადაზიდვაზე, თუმცა არაბულ სამყაროში უთანხმოების გაღრმავების საშიშროების ფონზე, ბრენტის ტიპის ნავთობზე ფიუჩერსების ფასი 1%-ით - ბარელზე 50 აშშ დოლარზე მეტით გაიზარდა.

თავდაპირველად გაურკვეველი იყო, თუ რა გავლენას მოახდენდა პოლიტიკური კრიზისი OPEC-ის პოლიტიკაზე, რომლის დე ფაქტო ლიდერად საუდის არაბეთი მოიაზრება.

საუღის არაბეთის ნავთობკომპანიის ინფორმაციის თანახმად, შექმნილ სიტუაციას არ ექნება გავლენა OPEC-ის გადაწყვეტილებებზე, ისევე როგორც არ ჰქონია სხვა პოლიტიკურ უთანხმოებებს, მათ შორის საუღის არაბეთსა და ირანს შორის არსებულ განხეთქილებას, რომელმაც ხელი ვერ შეუშალა OPEC-ს ნავთობის პოლიტიკის გატარებაში. (Gloystein H., 2017)

ყატარის მიერ მიწოდებული გათხევადებული გაზის გლობალური მიწოდების, დაახლოებით, ერთ-მესამედს შეადგენს.

დიპლომატიური უთანხმოების წარმოქმნიდან რამდენიმე საათში არაბეთის გაერთიანებულმა საემიროებმა აკრძალეს ყოველგვარი გადაზიდვები როგორც ყატარის მიმართულებით, ასევე პირიქით - ყატარიდან ფუჯეირას მიმღები პუნქტის მიმართულებით. თუმცა, გათხევადებული გაზის გლობალურ მიწოდებაზე ამ ფაქტს ჯერ გავლენა არ მოუხდენია.

„ვერ ვხედავ რაიმე სახის გავლენას ყატარიდან გათხევადებული გაზის არაბეთის ქვეყნების გარეთ მიწოდებაზე და ვფიქრობ, რომ არც არაბულ ქვეყნებში იქნება რაიმე ცვლილება“, - განაცხადა მორტენ ფრიშმა, გათხევადებული და ბუნებრივი გაზის დამოუკიდებელმა კონსულტანტმა.

მიუხედავად ამისა, გათხევადებული გაზით მოვაჭრეებმა უკვე დაიწყეს ყველანაირი სიტუაციისთვის მზადება, განსაკუთრებით კი ყატარიდან ემირატებში ბუნებრივი გაზის მიწოდების შესაძლო შეწყვეტას ითვალისწინებენ.

ვინაიდან არაბეთის გაერთიანებული საემიროების გათხევადებული გაზის ბაზარი ფასების დაღმავალი ტენდენციითა და სუსტი მოთხოვნით გამოირჩევა, ყატარის მიერ შეწყვეტილ მიწოდებას ქვეყანა მარტივად ჩანაცვლებს სხვა საერთაშორისო ბაზრებით. თუმცა, მიწოდებული ბუნებრივი გაზის ნაკადი საკმაოდ დიდია იმისთვის, რომ მისი სრულად ჩანაცვლება იყოს შესაძლებელი.

ეგვიპტე, რომელიც ყატართან გათხევადებული გაზით შუამავალი კომპანიების მეშვეობით ვაჭრობს, ნაკლებად მგრძობიარეა ყატარის მიერ მიწოდების შეზღუდვებისადმი. ვინაიდან, ექსპორტის შეზღუდვის შემთხვევაში შუამავალი კომპანია იღებს ყველანაირ პასუხისმგებლობას.

თუმცა, რეალურად ყატარს შეუძლია კონკრეტული ქვეყნები დატოვოს ექსპორტის გარეშე ე.წ დანიშნულების ადგილზე ექსპორტზე შეზღუდვების დაწესებით.

არაბეთის ქვეყნების მხრიდან გათხევადებული გაზის იმპორტის აკრძალვა ყატარს საშუალებას აძლევს, გაზარდოს მოცულობები ევროპის მიმართულებით, სადაც მას რამდენიმე მიმღებ ტერმინალთან აქვს წვდომა. (Gloystein H., Vukmanovic O., 2017)

ტექნოლოგიური სიახლეების, ენერგეტიკული ტენდენციებისა და მსოფლიო ენერგეტიკული მიღწევების ანალიზი

### რატომ ელექტრომობილი?

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს (IEA) ბოლო გამოცემის თანახმად, ელექტრომობილებმა კიდევ ერთი რეკორდული წელი აჩვენა 2016 წელს - მსოფლიოს მასშტაბით მათმა რაოდენობამ 2 მილიონს მიაღწია.

ჩინეთი კვლავაც რჩება უდიდეს ბაზრად და წარმოადგენს გლობალურ ლიდერს 200 მილიონზე მეტი ელექტრომობილითა და 300 000 ელექტრო ავტობუსით. ჩინეთი, აშშ და ევროპა სამი მთავარი ბაზარია, სადაც მსოფლიოს მასშტაბით გაყიდული ელექტრომობილების 90% მოდის.



*IEA, 2017. Electric vehicles have another record year, reaching 2 million cars in 2016*

ელექტრომობილების ბაზარი ზოგიერთ რეგიონში სწრაფად იკიდებს ფეხს და მომავალ ათწლეულში ადრეული განვითარების ეტაპიდან მასობრივ ათვისებაზე გადავა. მწარმოებლების გამოთვლების მიხედვით, 2020 წლისთვის ელ.მობილების რაოდენობა - 9-დან 20 მილიონამდე, ხოლო 2025 წლისთვის 40-დან 70 მილიონამდე გაიზრდება. გასულ წელს ნორვეგიის ბაზარზე ელ.მობილებმა 29% შეადგინა, მას მოჰყვება ჰოლანდია - 6.4%-ით და შვედეთი 3.4%-ით. (IEA, 2017)

ელექტრომობილების ასეთი სწრაფი პოპულარობა მათ მთავარ უპირატესობას უკავშირდება, რომელიც გარემოსთან მიმართებაში ემისიების თითქმის ნულოვან დონეში

მდგომარეობს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ არ გაქვთ მზის პანელები და მხოლოდ ქსელში ჩართული ელექტროენერგიით სარგებლობთ, ელექტრომობილების ემისიები ბევრად ნაკლებია, ვიდრე ბენზინზე მომუშავე ან ჰიბრიდული ავტომობილების. მათი მართვისას ემისიების ოდენობა ნულის ტოლია, ხოლო ელექტროენერგიის ემისია, რომელიც ავტომობილების დასატვირთად გამოიყენება, ბევრად უმნიშვნელოა სხვა ტრადიციული ავტომობილების ემისიებთან შედარებით.

გარდა ზემოთ აღნიშნული უპირატესობისა, ელ.მობილებით გადაადგილება ეკონომიურიცაა. აშშ-ს 50 ქალაქში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ელ.მობილების მძღოლები ბენზინზე მომუშავე მანქანების მძღოლებისგან განსხვავებით, 750-დან 1 200 აშშ დოლარს ზოგავენ წელიწადში.

ელ.მობილების მფლობელებს შეუძლიათ, მყარად იყვნენ დარწმუნებულები საკუთარ არჩევანში, ვინაიდან მათი ავტომობილები დადებით როლს თამაშობს გლობალურ დათბობასთან ბრძოლაში, ისევე, როგორც საწვავზე ფასების შემცირებისა და ნავთობის მოხმარების შემცირების პროცესში. (*Shahan Z., 2017*)

IEA-ს დაბალ-ემისიური სცენარის თანახმად, რომელიც ქალაქებში ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებასა და ტრანსპორტის სექტორში ენერჯის მოხმარების დივერსიფიკაციას გულისხმობს, ელექტრომობილების განვითარებისთვის ნათელი და ამბიციური პოლიტიკის გატარება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულში ენერჯია საგრძნობლად გაიფადა, ბატარეების ფასი ჯერ ისევ მაღალია, რაც ელ.მობილების საცალო ფასის ზრდას იწვევს. ელ.მობილების დანერგვის ფინანსური სტიმულირებები და წიაღისეულ საწვავზე გადასახადების დაწესება კვლავაც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ელ.მობილების ტექნოლოგიის განვითარებაში, რასაც დადებით უკუეფექტი მოჰყვება წარმოების ზრდისა და შედეგად, ბატარეებისა და სხვა კომპონენტების ხარჯები შემცირების სახით. (*IEA, 2017*)

რაც შეეხება ელ.მობილებზე მოთხოვნას საქართველოში, ეს მაჩვენებელი 15%-ითაა გაზრდილი. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში დამტენი სადგურების პრობლემაა, მანქანების შეძენის მსურველები მაინც არიან, რის ერთ-ერთი განმაპირობებელ მიზეზს უფასო განბაჟება წარმოადგენს, რომელიც ამ ტიპის მანქანებზე დაწესდა. იმპორტიორები ელექტრომობილების უპირატესობაზე საუბრობენ და ქალაქში ახალი დამტენი სადგურების დამონტაჟებაზე მუშაობენ. მათი თქმით, დედაქალაქისგან განსხვავებით, ელექტრომობილებზე მოთხოვნა რეგიონებში უფრო მეტია, რადგან ავტომობილის დატენვა მათ სახლის პირობებშიც შეუძლიათ. (*Commerzant, 2017*)

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, 2017. შპს „დი-ვი-ესი“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

ვებ-გვერდი:

<http://gnerc.org/ge/sadjaro-skhdomebi/sadjaro-skhdomebis-shedegebi-presrelizi/relizi/19965>

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, 2017. „მესტიაჭალა1“ და „მესტიაჭალა2“ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა იწყება

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ვებ-გვერდი:

<http://energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=716&lang=geo>

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, 2017. თბილისში რეგიონული ენერგეტიკული სამიტი გაიხსნა

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ვებ-გვერდი:

<http://energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=715&lang=geo>

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, 2017. თბილისში რეგიონული ენერგეტიკული სამიტი გაიხსნა [ფოტო]

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ვებ-გვერდი:

<http://energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=715&lang=geo>

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, 2017. "ASTANA EXPO-2017"

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ვებ-გვერდი:

<http://energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=718&lang=geo>

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, 2017. EXPO-2017

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ვებ-გვერდი:

<http://energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=710&lang=geo>

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, 2017. *EXPO-2017 [ვოტო]*

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ვებ-გვერდი:

<http://energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=710&lang=geo>

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

Arka News Agency, 2017. *Реконструкция подстанций "Агарак-2" и "Шинуайр" на сумму в почти \$32 млн. стартовала в Армении*

Arka News Agency

ვებ-გვერდი:

[http://arka.am/ru/news/economy/rekonstruktsiya\\_podstantsiy\\_agarak\\_2\\_i\\_shinuayr\\_na\\_summu\\_v\\_pochti\\_32 mln\\_startovala\\_v\\_armenii/](http://arka.am/ru/news/economy/rekonstruktsiya_podstantsiy_agarak_2_i_shinuayr_na_summu_v_pochti_32 mln_startovala_v_armenii/)

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

Bellini Emiliano, 2017. *EBRD approves \$500 million package for 750 MW of solar in Egypt*  
PV Magazine

ვებ-გვერდი:

<https://www.pv-magazine.com/2017/06/09/ebird-approves-500-million-package-for-750-mw-of-solar-in-egypt/>

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

BP, 2017. *BP and Rosneft agree strategic cooperation in gas business*

BP

ვებ-გვერდი:

<http://www.bp.com/en/global/corporate/media/press-releases/bp-and-rosneft-agree-strategic-cooperation-in-gas-business.html>

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

Business Media Georgia, 2017. *მაისში ნავთობპროდუქტების იმპორტი შემცირდა*

Business Media Georgia

ვებ-გვერდი:

<http://www.bm.ge/ka/article/maishhi-navtobproduqtebis-importi-shemcirda/12045>

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

Business Media Georgia, 2017. *"არის საკითხები, რომელზეც Inter RAO-სთან პრინციპულად ვერ ვთანხმდებით"*

Business Media Georgia

ვებ-გვერდი:

<http://www.bm.ge/ka/article/quotaris-sakitxebi-romelzecz-inter-rao-stan-principulad-ver-vtanxmdebitquot/12143>

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

Business Media Georgia, 2017. *Inter RAO საქართველოს მთავრობასთან დავის გაგრძელებას სასამართლოში აპირებს*



Business Media Georgia

ვებ-გვერდი:

<http://www.bm.ge/ka/article/inter-rao-saqartvelos-mtavrobastan-davis-gagrdzelebas-sasamartloshi-apirebs/12115>

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

Business Media Georgia, 2017. *Inter RAO საქართველოს მთავრობასთან დავის გაგრძელებას სასამართლოში აპირებს [ფოტო]*

Business Media Georgia

ვებ-გვერდი:

<http://www.bm.ge/ka/article/inter-rao-saqartvelos-mtavrobastan-davis-gagrdzelebas-sasamartloshi-apirebs/12115>

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

Commerzant, 2017. *"რეზონანსი": ელექტრომობილებზე მოთხოვნა 15%-ით გაიზარდა, ჰიბრიდებზე - 80%-ით*

Commerzant

ვებ-გვერდი:

[http://commerzant.ge/index.php?m=5&news\\_id=52221&cat\\_id=6](http://commerzant.ge/index.php?m=5&news_id=52221&cat_id=6)

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

Energy Egypt, 2017. *EBRD approves \$500 million for private renewable projects in Egypt*

Energy Egypt

ვებ-გვერდი:

<https://energyegypt.net/2017/06/11/ebrd-approves-500-million-for-private-renewable-projects-in-egypt/>

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

Energy Egypt, 2017. *EBRD approves \$500 million for private renewable projects in Egypt [ფოტო]*

Energy Egypt

ვებ-გვერდი:

<https://energyegypt.net/2017/06/11/ebrd-approves-500-million-for-private-renewable-projects-in-egypt/>

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

Euractiv, 2017. *EU to work with Baltic states on decoupling from Russian power grid*

Euractiv

ვებ-გვერდი:

<http://www.euractiv.com/section/global-europe/news/eu-to-work-with-baltic-states-on-decoupling-from-russian-power-grid/>

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

Euractiv, 2017. *EU to work with Baltic states on decoupling from Russian power grid [ფოტო]*

Euractiv

ვებ-გვერდი:

<http://www.euractiv.com/section/global-europe/news/eu-to-work-with-baltic-states-on-decoupling-from-russian-power-grid/>

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

IEA, 2017. *Electric vehicles have another record year, reaching 2 million cars in 2016*

IEA

ვებ-გვერდი:

[http://www.iea.org/newsroom/news/2017/june/electric-vehicles-have-another-record-year-reaching-2-million-cars-in-2016.html?utm\\_content=bufferf6c13&utm\\_medium=social&utm\\_source=facebook.com&utm\\_campaign=buffer](http://www.iea.org/newsroom/news/2017/june/electric-vehicles-have-another-record-year-reaching-2-million-cars-in-2016.html?utm_content=bufferf6c13&utm_medium=social&utm_source=facebook.com&utm_campaign=buffer)

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

IEA, 2017. *Electric vehicles have another record year, reaching 2 million cars in 2016* [ფოტო]

IEA

ვებ-გვერდი:

[http://www.iea.org/newsroom/news/2017/june/electric-vehicles-have-another-record-year-reaching-2-million-cars-in-2016.html?utm\\_content=bufferf6c13&utm\\_medium=social&utm\\_source=facebook.com&utm\\_campaign=buffer](http://www.iea.org/newsroom/news/2017/june/electric-vehicles-have-another-record-year-reaching-2-million-cars-in-2016.html?utm_content=bufferf6c13&utm_medium=social&utm_source=facebook.com&utm_campaign=buffer)

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

News.Az, 2017. *Azerbaijan's gas export to Turkey down*

News.Az

ვებ-გვერდი:

<http://news.az/articles/economy/122367>

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

Olearchyk Roman, 2017. *Stockholm arbitration court appears to hand Ukraine victory over Gazprom*

Financial Times

ვებ-გვერდი:

<https://www.ft.com/content/47bcd385-9eca-309b-b018-18423a05b11c>

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

Publika.md, 2017. *Ukraine scores major win over Gazprom in arbitration tribunal* [ფოტო]

Publika.md

ვებ-გვერდი:

[http://en.publika.md/ukraine-scores-major-win-over-gazprom-in-arbitration-tribunal\\_2637423.html](http://en.publika.md/ukraine-scores-major-win-over-gazprom-in-arbitration-tribunal_2637423.html)

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

Reuters, 2017. *BP to sign Azerbaijan oilfield extension deal at end of June*

Reuters

ვებ-გვერდი:

<https://www.reuters.com/article/us-bp-azerbaijan-idUSKBN18R1IU>

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

Reuters, 2017. *BP to sign Azerbaijan oilfield extension deal at end of June [გოტო]*

Reuters

ვებ-გვერდი:

<https://www.reuters.com/article/us-bp-azerbaijan-idUSKBN18R1IU>

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

Shahan Zachary, 2017. *Electric Vehicles Good for the Environment & Save You Money*

Clean Technica

ვებ-გვერდი:

<https://cleantechnica.com/2012/04/18/electric-vehicles-greenhouse-gas-emissions-save-money/>

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]

Топалов Алексей, 2017. *Украина нашла газ в Норвегии*

Газета.Ру

ვებ-გვერდი:

<https://www.gazeta.ru/business/2017/06/11/10717667.shtml#page5>

[გამოყენების თარიღი: 15 ივნისი, 2017]